


ՀԱՅԿԵՐԱՆ  
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ  
ՊԱՐԿԵՐ

K 149371  
3

# ԿԿԿԱՐԼ ԼԵՆԻՆՆԵՐ




« Ե Ն Ն Ն Ն Ն Ն Ն »



17035721  
20240109

K149341  
3





Կ Կ Կ Կ Կ Կ  
Լ Լ Լ Լ Լ Լ



Ժառանգորդի նախնիների  
հիշատակը մեզ  
գրավել է մեզ  
ենթացիկ  
գրավել է մեզ

«Նախնիներ»  
տեղի  
1972



34



Г 1  
899.962.1.93  
y 381

7-6-2

„მამაროსა სიწითლითა“ — ქართული ხალხური საბავშვო ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშთა კრებულია. მასში გარდა ლექსებისა, შევიტანეთ გამოცანები (ლექსად ნათქვამი), ანდაზები, თამაშობანი, ენის გასატეხები და გამოსაჯავრებლები. თითოეული მათგანი საუკუნეების მანძილზე გულდაგულ დაუხვეწიათ ჩვენს წინაპრებს. ამ ლექსებით, ამ გამოცანებით ეცნობოდნენ სამყაროს გლეხის შვილები თუ მეფისწულელები, ამ ანდაზებით სწავლობდნენ ცხოვრებას, იმდიდრებდნენ მესხიერებას, ენას იმართავდნენ.

საგან-2000  
შეამოწმებულია

შეაღბინა

ბიბიო სორნა ულმა

მხატვარი

თენგიზ მირზაშვილი

7210

-653



მოწვევა სწავლაზე

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,  
დაურიღი დედაშენსაო;  
საქმე რომ არა გქონდეს რა,  
ჩამოირბენდე ჩვენსაო;  
გადგიული წიგნსა პატარას,  
მეც მოგიჯდები გვერდსაო,  
გასწავლი წერა-კითხვასა,  
არაკებს გეტყვი ბევრსაო.





\*  
მზეო, ამოდი, ამოდი,  
ნუ ეფარები გორასა,  
სიცივეს კაცი მოუკლავს  
საწყალი აგერ გორავსა.

\*  
ბატო, ბატო, თეთრო ბატო,  
ესლა რაღა მოგიმატო?  
ეგ ბუმბული მიინც მომე,  
ეს ოხერი თავი დავდო.





\*

ვაყაჩოსა სიწითლითა  
ყანა დაუმშვენებია,  
ყმაწვილსა კარგი სწავლითა  
დედა გაუხარებია.



\*

ჰარია, მალლა დარია,  
ქორმა წაიღო ვარია.  
წამოდი, გავაგდებინოთ,  
ცოცხალია თუ მკვდარია.





### ორმოში ფეტივი ჩავეყარე

ორმოში ფეტივი ჩავეყარე შესანახადო,  
ორმოში წყალი ჩასულა დასაღობადო,  
ორმოდანა ამოვეყარე გასაშრობადო.  
ჩიტი ღობეზე შემოჯდა ასაკენკადო,  
ჩიტსა სახრე წამოუსვი ასაქშევედაო,  
ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლედაო.  
ბატონმა კაცი მიბოძა დასარბევედაო,  
დიდი ქვევრი ამიხადა დასაღვედაო,  
წითელი ხარი წამართვა დასაკლავადო,  
შავი ძროხის თეთრი ყველი თქვენმა გაზრდამო,  
ასე წამართვა ბატონმა, რაც რამ მებადო.



\*

კამეჩი ჯწევს და იცოხნის,  
თავის ამინდი ჰგონია,  
ლაფში ჩაფლული ურემი  
შინ მიტანილი ჰგონია.



\*

ჩიტი იძახს: „წიო,  
კალოს პირას ვზიო,  
მარცვალაებს ვკრეფო,  
კუჭმაჭაჩი ვყრიო!“

\*

ჰარი, ჰარალე, დედაო,  
გადავჯექ კურდღელზედაო,  
გავაჭენ-გამოვაჭენე,  
გავუშვი მინდორზედაო.





### კურდღლის სიზმარი

კურდღელმა სოქვა: ჩირგვში ვზივარ,  
ვერვინ მოვა ჩემზედო,  
გავიხედე სერზედო,  
ბატონი ზის ცხენზედო.  
წინ მეძებრები მოუდის  
დაგეშილი ჩემზედო.  
დამისიეს, გამომიდგენენ,  
გავექეცი განზედო,  
აღმართშია მე ვაჯობე,  
იმით თავდაღმართზედო;  
ერთმა წუწკმა მეძებარმა  
კბილი გამკრა გვერდზედო;





გამწიეს და გამომწიეს,  
ჩამომკიდეს ცხენზედაო.  
მზარეულებს მიმაბარეს,  
კარგად შესწვით ცეცხლზედაო;  
ცალი გვერდი ცეცხლზედ იწვის,  
ცალი ერბოს აღზედაო;  
უყურეთ ამ მსუნაგებსა,  
რა ყოფა აქვთ ჩემზედაო?  
ამარიგეს, ჩამარიგეს,  
წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო;  
ხორცი ხორცად შემიჭამეს,  
ძვლებს იმტვრევდნენ ცერზედაო.



ბ ა მ მ ს ა ნ ე ზ ი

\* \* \*

თავს გვაფარია ბანივით,  
მსუბუქია და ვრცელია,  
რაც უნდა მაღალი იყვე,  
არ მიგიწვდება ხელია;  
არ უნდა ბოძი, კედელი,  
ფანჯარა, ანდა კარია,  
აბა, თუ გამოიცანი,  
მზად არის საჩუქარია.

(ცა)

\* \* \*

ალეზ-ალეზიანო,  
ჩიბუხ-ტარებიანო,  
დღე იმალებიანო,  
ღამე გამოდიანო.

(ვარსკვლავები)

\* \* \*

გრძელს ქვიშიან გზაზედა  
ლომი სირბის ღრიალითა,  
რაც კი გზაში რამ შეხვდება,  
თან წაიღებს სრიალითა.

(მდინარე)

\* \* \*

მთაზედა ჩამოწოლილა,  
გავაზ-გავაზი გველიო,  
ჩამოხედავდა ჭალასა,  
ეგ არის ჩემი ველიო.

(ზევი)

\* \* \*

გამოციანას მოგახსენებ,  
გამოციან — სიბრძნე გაქვსო;  
ერთ სოფელში ორთა ძმათა,  
ერთმანეთის ფერი აქვსო;  
ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი,  
ერთსა მარტო ტახტი აქვსო.

(მზე და მთვარე)

ბ ა მ ნ ე ზ ი

\* \* \*

მალიდანა წამოვიდა  
უთვალავი ბყირივითა,  
ნაყოფი მიწას დააგო,  
შემოგვიტა ჭირივითა,  
ვხედავდით და ვერ ვშველოდით,  
ყველა დაგვსვა ტირილითა.

(სეტყვა)

\* \* \*

ერთსა ალვისა ხეზედა,  
თორმეტი ტოტი აბია;  
სცვივა და სცვივა ფოთლები,  
ისევ იმდენი აბია.

(წელიწადი, თვეები, დღეები)

\* \* \*

ნეტა რა არის მისთანა,  
ამომავალი მზისთანა,  
წყალში რომ ფეხი უდგია,  
იმ ოქროს ჩარდახისთანა.

(ცისარტყელა)

\* \* \*

აბლი ბაბლი,  
ოქროს ტახტი,  
მზით ავილე,  
მთვარით დავდგი.

(ყინული)

\* \* \*

ვირბის, მიქროლავს უჩინრად,  
მიჰკივის, როგორც მთვრალია,  
კლდეებზე დადის უვნებლად,  
ვერ შააყენებს წყალია;  
იმისი წესი ეს არის,  
მიხვედრა თქვენი ვალია.

(ქარი)



კ ა მ მ ს ა ნ ე ზ ი

\* \* \*

ერთი რამე სულიერი  
მთაში დადის მწყრალივითა,  
ცეცხლსა ძლიერ ერიდება,  
შეშა დააქვს ძვალისვითა;  
მე მინახავს დახვეოდეს  
ბატონები ყმანივითა.

(ირემი)

\* \* \*

აჯინჯალი, მაჯინჯალი,  
ოთხი ფეხით მაბიჯარი.  
ქვეშა წყარო სადინარი,  
ზევით კარგი სათიბარი.

(ცხვარი)

\* \* \*

ტყავი ფასობს, ხორცი — არა,  
ქათმებს დასდევს წარამარა.

(მელი)

\* \* \*

მინდვრიდანა მოდიოდა  
დიდი უსურბელა,  
თავი ბურბუშელა,  
ფეხი კუნტრუშელა,  
დაიჩოქებს, კაცს შეისვამს  
ზურგი კოკოშელა.

(აქლემი)

\* \* \*

ერთი რამე ვნახე,  
ეშმაკისა სახე,  
მალლა-მალლა დადიოდა,  
ძირს დაედგა მახე,  
წვრილი ჩიტი გაბშულიყო  
ჩემი თვალით ვნახე.

(ობობა)

კ ა მ მ ს ა ნ ე ზ ი

\* \* \*

გადავბრუნე, შევხედე,  
ქვიაა, აბა რაია?  
ზევით დავდევო, კვერცხსა სდებს,  
ქათამია, მამ რაია?  
გარეთ გავუშვი, ბალახს სძოვს,  
ძროხაა, აბა რაია?

(აუ)

\* \* \*

ერთი ექიმი მოვიდა  
ინდურ-ფანდურის გემითა,  
სისხლის კარავი დაიდგა  
შიგ გორავს თავში ცემითა.

(წურბელა)

\* \* \*

წვერი აქვს — კაცი არ არის,  
ბალახს სძოვს — ცხენი არ არის,  
რქები აქვს — ხარი არ არის.

(თხა)

\* \* \*

ერთსა რამეს სულიერსა  
ჯიხური ზურგით დააქვსო,  
თავისსა წილობაზედა  
ყველაზე დიდი რქა აქვსო.

(ლოკოინა)

\* \* \*

ერთი რამე სულიერი,  
მიწა-მიწა მძრომელია,  
მეფისა და დედოფლისა  
თავზე წამომჯდომელია,  
სამჯერ გითხარ მის სახელი,  
აბა მითხარ რომელია.

(მელია)






თაგვებისა და კატის ომი

თაგვებმა დასვეს ხელმწიფე,  
 სახელად კეისარია,  
 წავიდენ, ცოლი მაჰკვარეს,  
 მზეთუნახავი ქალია,  
 შვიდ დღე-ღამეს ქნეს ქორწილი,  
 აწვიეს მთა და ბარია;  
 სამოცი დაკლეს ფურბერწი,  
 სხვა უთვალავი ცხვარია,  
 ამდენი ღვინო დახარჯეს,  
 რამდენიც ალაზანია.  
 მთაზე გადმოიხნდა ნაწვევი,  
 გადმააბნელა მთანია;  
 ციცის დაჭერას ფიქრობენ,  
 მძიმე შაყარეს ჯარია.  
 ციცას მიუხდენ კარზედა:  
 — ციცავ, გავვიღე კარია!  
 ციცა ციხეში შავიდა,  
 წელთით დაკეტა კარია.  
 — ციცავ, ციხეში რად შახველ,  
 თუ გულ არ გედვა ხდალია?  
 ციცამ კარია არ გაუღო:  
 — კვირა-შაბათის ძალია!

ორშაბათ დილა გათენდეს,  
 თუ გული მიძე ხდალია!..  
 ორშაბათ დილა გათენდა,  
 ციცამ გალესა ხმალია;  
 ყელს ლარი გადაიკიდა,  
 ბროლით ნაჭკედი ფარია,  
 თაგვებში გამეერია,  
 დიდ დადგა ცოდვა-ბრალია.  
 ზოგმა გატენა ხანჯალი,  
 ზოგმა ფრანგული ხმალია.  
 გაწყვიტა დიაც-ყმაწვილი,  
 ცამდი აავო მკვდარიო.  
 თაგვებს მოუკლა ხელმწიფე,  
 გააგდებინა თავია!





შენ, ჩემო ღორო, ქედლო



თორმეტი გოჭის დედაო,  
საბალახოზე გაგიშვი,  
კვრინჩხების ბოლოზედაო.  
ნეტავი, ღორო, გიპოვო,  
მოგაჯდე ქეჩოზედაო,  
მოგცხო და მოგცხო კომბალი,  
მაგ ცხვირის ნეშტოზედაო.





K 179. 371  
3

თაგვის მუჰარაბ

წისქვილს საფქვავი წავიღე,  
ავკიდე სამსა კატასა,  
წინ თაგვნი შემომეყარნენ,  
ჩამისხდნენ ალაგ-ალაგსა.  
ერთსა ვკარ, ფენი მოვტეხე,  
მეორე ადგა ალასა.  
მესამე მემუქრებოდა:  
— კიდევ დათესავ ყანასა,  
ისე მოგიჭამ ერთიან,  
ცელს ვერ ავლებდე ჩალასა.





ა ა მ ა მ ს ა ნ ი

\*

წითელი ვაშლი ვის უნდა  
შენ თუ მე?  
შენ დაიხუჭე.

\*

ჩიკი-ჩიკი მალულა  
ტყვიდან გამოპარულა,  
დაიჭირა დამურა,  
შეწვა შეახრამუნა.

\*

წი-წი წიპონია,  
კატას კვერცხი უპონია,  
შეუწვია უჭამია,  
პირზე სცხია, უხარია.

არუ, არუ, ცხენო

აჩუ, აჩუ, ცხენო,  
საით გაგაჭენო,  
ალაზანი დიღია,  
შიგ ბებერი ჰკიღია,  
პური ვთხოვე, არ მაჭამა,  
ჩემი ცოდვა ჰკიღია.

ანი კულა

აჩი კულა,  
ბაჩი კულა,  
ზურგს რა გკიდავ?  
ჭრელი გულა.  
შიგ რა ვიდევ?  
ჭრელი კვერი.  
ვის მიუტან?  
ლელუკასა. (იტყვიან იმ ბავშვის სახელს, ვინც  
ზურგზე ჰკიდიათ და ათამამებენ).

ა ა მ მ ს ს ნ ნ

ავერ მოლის

ავერ მოლის ბერი კაცი  
უკან მოსდევს შავი ძაღლი,  
ვინც ჩვენს უკან ხმა ამოიღოს,  
უკლუკულა გველეშაბი —  
კაპ! კუპ!


იწილო, ბიწილო

იწილო, ბიწილო,  
შროშანო,  
გვრიტინო,  
აღხო,  
მალხო,  
ჩიტმა გნახოს,  
შენი ფესვი,  
ფესმანდური,  
შიკოჭური,  
კალმახური.  
აბლა, უბლა,  
გადასკუბლა,  
შეჯე ნეფე,  
შეიკეცე.

ლოლია, ლოლია

ლოლია, ლოლია,  
ხბო წითელია (ხელის გულზე უხეავენ თიხს).  
ამან დაკლა (ღაჟაიფუნ ჩეკს).  
ამან გაიტყავა (არათიხს).  
ამან დაჭრა (შუა თიხს).  
ამან მოხარშა (ხილოკ თიხს).  
ამან შესიანსლა (ბერა თიხს).  
ვცემოთ, ვცემოთ ბერიკაცსა!





მელია და მამალი

ორშაბათ დილა გათენდა,  
რა ავი დარი დგებო;  
ის ჩვენი წუწკი მელია,  
საომრად ემზადებო.  
წავიდა, იქ მიცუნცულდა,  
სადაც მამალი ჯდებო.

— პატარა ხორცი მიბოძე,  
მელას გზა გაეველებო!  
— შენ ჩემ ხორცს როგორ შეირგებ,  
ყელს ძვალი დაგადგებო;  
ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს  
მეხივით გავარდებო.

— მეც კარგად ვიცნობ შენს პატრონს  
უყვარს, მუცელზედ გდებო;  
თოფი კახნას უკიდია,  
ჩახმახი უჟანგდებო;  
თუნდ მუგუზალი დაადოს,  
მაინც არ გავარდებო.





### მგელმა თქვა

მგელმა თქვა: ქორწილს ვაპირებ,  
ლვინო ჩავასხი ნასეტყვი,  
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ,  
ციკანს მომცემს თუ კრავს მეტყვის  
არ მომცემს? ძალად წაუართმევ,  
თუ იტირებს და ბანს ვეტყვი.



### ზღაპარ იყო

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
ჭალას ჩიტი მამკედარიყო,  
მადლა შედე — გამხმარიყო,  
ჩამოვიდე — დამპალიყო;  
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,  
პატარაში ლალი იყო,  
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,  
პატარძალმა ლუკმად იგდო.





### ღათვის სიზმარი

ღათემა სთქვა: სიზმარი ვნახე,  
 რაც რომ თავს გადამხდებოდა:  
 სიმინდი ბევრი შევჭამე,  
 ხილად არ გამიხდებოდა;  
 სკაში თაფლს ხელი შევუყავ,  
 ვსვლიბე, ვინ მიმიხვდებოდა;  
 მელორის ტყეში ვაღაველ,  
 იქ ღორი მეგულებოდა;

ერთი ბურჯაკი შევჭამე,  
 შხამადაც შემერგებოდა;  
 სოფლის ბოლოს რომ გავედი,  
 ვიცოდი, არ შემრჩებოდა.  
 ლამაზ-ლამაზი ბიჭები,  
 თოფ-იარაღში სხდებოდა;  
 ლამაზ-ლამაზი მწვერები,  
 თითის ბუკლებზედა დგებოდა.  
 გამიგდეს ისეთს მინდორსა,  
 თვალი ვერ გადასწვდებოდა;



ისეთს ხევ-ხუვში ჩამაგდეს,  
 ქორი ვერ ჩაფრინდებოდა;  
 დამაზილეს ბევრი ტყვია,  
 სიკვდილი მომსურდებოდა;  
 იქ დადგა სისხლის მორევი,  
 ზედ ნავი მოცურდებოდა,  
 მოვიდა ყვაავი, ყორანი,  
 სვამდა და არ ილეოდა;  
 ორბებმა გამინაწილეს,  
 სვაევი ძვალ-ძვულით ძღვებოდა.

— დათო, თქვი შენსა სულზედა,  
 ვინ უფრო ვეომებოდა?  
 — თეთროსიან-ქალისპირაი,  
 გორის პირს ეფარებოდა,  
 შავგვრემან, სვილის ფერაი  
 ტოტ და ტოტ მეომებოდა.  
 პატარა დამრჩა მოკვერი,  
 ჩემფერი გაიზრდებოდა,  
 მაჰკლავდა დედის მამკვლელსა,  
 თუ გული ჩაედებოდა.

\*

თამრიკო, კარი ვამიდე,  
ხელში მიჭირავს ქადაო,  
ვემრიელია ძალიან,  
ბეზბიამ მომიშხადაო.



\*

— ირემო, მთასა შევირალო,  
რად ჩამოვარდი ბარადა?  
— შეუღლე ჩემი მომიკლეს  
დავეხეტები ცალადა.

\*

ტოროლას მაინც არ მოვკლავე,  
შევრიც რომ მქონდეს წამალი,  
საწყალი ღამის მეხრისა  
ის არის კარგი მამალი.



\*

კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა,  
პატარაა და ბრაღია,  
თორემ მოგისევ მწევრებსა,  
ჩემი აღარა ბრაღია.



\*

ნეტამც არ დაგძინებოდა,  
ჩიტო ნიბლიავ ნარზედა,  
ჩამოგიქროლებს აღალი,  
წაგიყვანს მაღლა მთაზედა.

\*

შენ ამოდი, ზენა ქარო,  
უნდა ხვაეი ვახორხარო,  
გამოვაცხო თბილი პური,  
ყმაწვილები დავახარო.



ქ ნ ი ს ო ა ს ა ჭ ე ხ ე ბ ი

\* \* \*

ჩემი თხაი რქაგრეხილი,  
შენსა თხასა რქაგრეხილსა,  
რას ერჩოდა, რას ებრძოდა,  
რას ერქაგრეხილებოდა.

\* \* \*

მწყერი ვწვი და მწყერი ვჭამე,  
მწყერის კუჭის ქონის ქადაც მიჭამია.

\* \* \*

ბაყაყი მყაყე ჭაობში  
ბაყბაყ დევივით ბაყბაყებს.

\* \* \*

თეთრი თხა გავათხათურე.

\* \* \*

ერთსა კაცსა ბლისკინელსა,  
ბლის კალათით, ბლის სიდზედა,  
ბალი გაქონდ-გამოქონდა,  
ვერც გაყიდა, ვერც შეჭამია,  
ისევ გაქონდ-გამოქონდა.

კ ნ ა ლ ბ ა ლ ა ჭ ე ხ ე ბ ი

\* \* \*

კაპარჭინა გურიშვილი,  
 გური კაპარჭინაშვილი,  
 ჯაეხნია, ჯონიშვილი,  
 ჯონი ჯაეხნიაშვილი.

\* \* \*

თოქალთო დავათოქალთე,  
 დათოქალთოებულია.

\* \* \*

ტყეში ყაზახი შევარდა,  
 ტყე გაყაზახებულაო.

\* \* \*

სამი სასაწინახლე ხე.

\* \* \*

აკრატელი-მაკრატელი,  
 მე ვარ კოკროჭინანტელი,  
 ცხენი მყვანდა ცხენ-ჭედილა,  
 უნაგირი შეჭედილა.  
 თუ ის ცხენი მამიკვდება,  
 სამ წელიწადს პურს არა ვჭამ,  
 ხობის მეტსა, კაკბის მეტსა,  
 გამტკიცული შოთის მეტსა.



კ ნ ი ს გ ა ს ა ჭ ე ს ე ბ ი



\* \* \*

ჩიტმა რკო ჭამა, რკო ყლაპა,  
რკო მუხაზე გაიტანა,  
გაარჩია და შეჭამა.

\* \* \*

დაფაციფუცებულნი ფრინველნი,  
უფრო დაფაციფუცებულან.

\* \* \*

ჩემი ბალის მწვანელი: პრასა, ბოლოკი, პიტნა,  
ტარხუნა, თუკი მე მეპრას-მებოლოკ-მეპიტნა-  
ტარხუნება, რატომ შენ არ გეპრას-გებოლოკ-  
გეპიტნა-ტარხუნება?

კ ნ ი ლ გ ა ს ა ზ ე ს ე ბ ი

\* \* \*

ესე ლორი რა ლორია  
ლორზე გადანამორია.

\* \* \*

საყდარშია თეთრი მტრედი  
ფრთათეთრი და ფრთა ფარფატი.

\* \* \*

ბერიკას ხარები შეუბამს, შეუსაბელ-სახნის-  
სახვნელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია, როგორც შე-  
უსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-ტაბიკ - აპეურე-  
ბია, ისე ამოუსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-ტა-  
ბიკ-აპეურებია.






საწყალი მელა

საწყალი მელა ჩიოდა:  
 არ მომივიდა ძილია,  
 ერთსა საქათმეს მივაგენ,  
 გამოვუთხარე ძირია;  
 იხვსა, ბატსა და ქათამსა  
 ყველას ვაკვარი კბილია.  
 გამიგო იმის პატრონმა,  
 ძალი ჰყოლია ფრთხილია.  
 უკუ ვიხედუ, მომდევდა  
 პატრონი — გზირის შვილია;


ძხარზედ ვაეღო კომბალი,  
 გათლილი შვინდის ძირია;  
 გადმოკრა, გადმომიშხივლა,  
 ცამდის ავასხი ტვინია;  
 მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა,  
 ცოლ-შვილი დამრჩა ქვრივია;  
 ცოლიც მალე გათხოვდება,  
 ობლები დამრჩა წვრილია,  
 ობლებიც გაიზრდებიან,  
 თავი დაუკარგე გმირია.





სმრზე მინის სამი მგელი

სერზე მინის სამი მგელი,  
ტუჩმურა და კულაგრძელი  
ერთმანეთს ეუბნებიან:  
„ჭალას არის ლურჯა ცხენი,  
ერთმა თავსა დაეურბინოთ,  
ორმა გავას გაგკრათ ხელი,  
პატრონს კაცი გავუგზავნოთ,  
ნულარ უნდა ბზე და ქერი.  
მოდი, ნალევი წაილე,  
წალდი გამოვივა მჭრელი,  
ძუა-ფაფარი წაილე,  
საცერი დაგეწვნის სქელი“.





ჩიტო-გვრიტო

ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო,  
შენი დედა ჩვენსა იყო,  
ერთა ფეხა მოსტეხიყო,  
მეორითაც კოჭლა იყო;  
ჭერჩი შავდეკ—დამბალიყო,  
ჩამაველი — გამხმარიყო.  
დიდსა ქეაბჩი არ ჩავიდა,  
ცოტინაში მალიკლიკდა,  
ათმა კაცმა ვერ შეჭამა,  
ჭინჭველაჲა ლუკმად იგდა.  
— ის ჭინჭველი სად წავიდა?  
— ღთასა შაუჭამიო.  
— ისი მთაი სად წავიდა?  
— თაგვსა დაუნვრეტიო.





- ისი თაგვი სად წავიდა?
- ციცას შაუჭამიო.
- ისი ციცა სად წავიდა?
- ძაღლსა შაუჭამიო.
- ისი ძაღლი სად წავიდა?
- მგელსა შაუჭამიო.
- ისი მგელი სად წავიდა?
- დათვსა შაუჭამიო.
- ისი დათვი სად წავიდა?
- ტყესა ვამაღრევიო.
- ისი ტყეი სად წავიდა?
- ცულსა მაუკრეციო.
- ისი ცული სად წავიდა?
- მჭედელს შაურევიო.
- ისი მჭედელ სად წავიდა?
- კანეთსა და კურმუხეთსა,  
ნიგოზით უკენ ტრუნ-ტრუნებსა.





ბ ა მ ს ა ნ ე ს ი

\* \* \*

ერთი თხა მყავდა ელაო,  
მხარზე გაედო ენაო,  
იმისი ნათქვამ-ნაქნარი,  
ქვეყანას დაეჯერაო.

(სასწორი)

\* \* \*

შავი არი შაშვივითა,  
იკბინება ძაღლივითა.

(რწული)

\* \* \*

თოფი ხისა,  
ტყვია წყლისა,  
ხეს ეცა და  
ქვა გაიქცა.

(წისქვილი)

ერთი რამ არის საწყალი,  
მალლა გაუდის ცანცალი,  
ნეტაუი შემატყობინა,  
რა არის მისი საგზალი.

(პებელა)

ბ ა მ მ ს ა ნ ე ი

\* \* \*

ასი, ასი ასლამაზი,  
ასი კაბა აცვიო,  
აბრეშუმისა ქოჩორი  
გვერდზე გაღუვარცხნიაო.

(სიმინდი)

\* \* \*

თეთრი ხნული, შავი თესლი,  
თესლი მთესავს ეუბნება.

(წიგნი)

\* \* \*

ფეხში რომ ხელი მომკიდეს,  
ზღვაში ჩამკიდეს თავითა,  
რომ ამომიღეს, თეთრი გზა  
მოვრწყე ცრემლითა შავითა.

(კალამი)

\* \* \*

ოთხნი არიან,  
ქმანი არიან,  
ბაღჩას ჩადიან,  
ჩაიძღვრიან.

(ძროხის ძუძუები  
და ხარძევე)





ბ ა მ მ ს ა ნ ე ზ ი

\* \* \*

გამოცანას მოგახსენებ,  
დიდი არაფერიაო,  
ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ,  
ალაგ ალისფერიაო.

(ხალიჩა)



\* \* \*

იანური, ჭიანური  
კისერკაკაიანური;  
მოიშლება, მოიწყობა,  
არ სწყინდება სიარული.

(საათი)

\* \* \*

დამაცადე ვიყო,  
აბა მე რა ვიყო,  
პერანგი ჩამოგახიო,  
თავი ცეცხლში ვიყო.

(სომინდის ტარო)



\* \* \*

ხმას არ იღებს — ლაპარაკობს,  
წინ გვიყენებს ცოცხალ-მკვდრებსა,  
არ იცინის და არ სტირის,  
ჩვენ კი გვაციან-გვატირებსა.

(წიგნი)

ბ ა მ მ ს ა ნ ე ს ი

\* \* \*

კაჭკაჭმა ნაკაჭკაჭევემა,  
გასჭრნა მზენი და მთვარენი,  
იმისმა მამიდაშვილმა  
ზედ მოაკერა ფარენი.

(მაკრატელი და ნემსი)

\* \* \*

აქეთ გორას ქორი კივის,  
იქეთ გორას შავარდენი,  
შუა ხოხობ ჩამოტირის:  
— მაგათ ხელში ჩავევარდები.

(წისქვილი)

\* \* \*

ტყეში ხარი შემევიარდა,  
— გამო, გამო გიშეგაო!  
ნაბდის ძველა იქ დააგდო,  
გამოვიარდა შიშველაო.

(თხილი)

\* \* \*

უსულო ვნახე ორსული,  
სულიერისა მშობელი,  
შვილსა შობს — დედა მოკვდება,  
ვინ არის გამომცნობელი.

(კვერცხი)





### წუხელი რწყილმა მიკბინა

წუხელი რწყილმა მიკბინა  
გათენებისა ხანსაო,  
ავდექ, ავანთე სანთელი,  
გაუდექ იმის კვალსაო.  
გავიხედე და გასულა  
აზამბურისა თავსაო,  
დავუჩოქე და ვესროლე,  
მოვარტყი ბეჭის თავსაო.  
ასსა ურემზე დაუდებ,  
სამას უღელა ხარსაო,  
მიჰქონდეს გაჭირვებითა,  
ამტვრევდეს ფერსო-ჭალსაო.  
იმას ქალაქში ჩაეიტან,  
დიდი ვეზირის კარსაო,  
ლიტრას აბაზად გავყიდი,  
უყურე მოგებასაო!



ღორმა დაიკვეხა

მთაში ღორმა დაიკვეხა,  
ყველგან გავიკეთე ბინა,  
ვერც არას თოვლი დამაკლებს,




ვერცა შემოდგომის წვიმა.  
მე რომ კბილებს გავილესაე,  
ვერეინ დამიდგება წინა.



### მგელი და მცხვარი

მგელმა სთქვა: „მთაზე მცხვარეს  
შემოეშალა ცხვარიო,  
თიკანს რო პირი დავაველე,  
თხამ დაიძახა ვაიო,  
იმ დასახრჩობსა მურიას,  
ჩემსკენ ეჭირა თვალიო.  
მცხვარე გადმოეშველა  
ეჭირა შინდის კავიო;  
გადმომკრა, გადმომიჭირა,  
მომტეხა თქოს თავიო;  
ძლივს გავასწარი რა ყოფით,  
დღე დამაყენა შავიო.  
მაცალე, შეილო, მცხვარევე,  
მოგსვლოდეს ტკბილი ძილიო,  
ძალღები შინ გაგპარვოდნენ.  
ღია დამიხვდეს კარიო!  
შენს ფარეხში შევსულიყო,  
მეწყვიტოს თხა და ცხვარიო,  
დილაზედ გამოსულიყვე,  
გეგლიჯოს თმა და წვერიო,  
თავს დაგჩხაოდნენ კაჭკაჭნი,  
გედოს სიკვდილის ფერიო“.





ვირო, არ დაიფროყინო


ორშაბათ დილა გათენდა,  
ვირას გავუღე კარიო,  
გავუშვი, ჭალას ჩავმართე,  
წყალი სვი, ხვრიმე ნარიო.  
წინ მგელი შამოეყარა,  
ერთი პირმურა არიო.  
— მოიჭა, ვირო, მაჭამე,  
პატარა ზურგის ქვალიო!

— შენ ჩემ სორცს როვორ გაკადრებ,  
ვზიდე მარილის ქვანიო,  
თუ გინდა გამოგიგზავნო,  
შენელებული მხალიო.  
— მე მხალი-მხული არ ვიცი,  
არა ჭამს ჩემი გვარო,  
კული არ გააცანცარო,  
არ გამომთხარო თვალიო,  
დიდი არ დაიფროყინო,  
არ შემეყარო ჯარიო.



\*

ხოვლეში სამი რწყილია,  
გასუქებულან ხრილითა,  
ძალიან გასუქებულან,  
ლობეს ამტვრევენ კბილითა.




\*

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა  
ფეხდამწვარი წიწილითა,  
კატა მაყრულს ეუბნება,  
თავგი კვდება სიცილითა.

\*

ცალფენი კატა ტიროდა:  
ფენი მტკიავა და ბარკალი,  
ქალებმა ყველი შეჭამეს,  
ბებომ მე მცემა, საწყალი.





მოჯაგაბირის ლექსი

სხვათა მოჯამაგირობას  
 ადვილად იტყვის ენაო,  
 დილიდგან საღამომდისინ  
 არ მქონდა მოსვენებაო.  
 დილით ძროხებში მგზავნიდნენ,  
 საღამოს ღორისკენაო,  
 ქორ-მეძებრებს თან მატანიდნენ:  
 ხომ ინადირებ შენაო;  
 თუ კურდღელი დაიჭირო,  
 ტყავი შენ, ხორცი ჩვენაო,  
 და თუ მელასა დაიჭერ,  
 ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო.



ბ ა მ ს ნ ა ჯ ა ვ რ ე ლ ე ბ ი



ბირიასა ბანი

ტირიასა ბანი,  
ერთი გობი მხალი,  
ისიც კატამ შეუჭამა,  
გვი მისი ბრალი.



მტირალა, მტირალა

მტირალა, მტირალა,  
ხბორებს ჩამოგილაღავ;  
თუ ხბორები არ გინდა,  
ლორებს ჩამოგილაღავ;  
თუ ლორები არ გინდა,  
კატებს ჩამოგილაღავ,  
თუ კატები არ გინდა,  
ძაღლებს ჩამოგილაღავ და ა. შ.



\* \* \*

ტაში გიგო, ტაში მართა,  
თამაშობა ვაიმართა.



ბ ლ ა ხ ა

გლახა, გლახა,  
დაუღია ხახა,  
ცხელი მჭადი უჭამია  
დაუწვია ხახა.



ბ ა მ ს ა ჯ ა კ რ ე ბ ლ ე ბ ი

ი ვ ა ნ ე

ივანე, ივანე,  
ქალაქს დაიგვიანე,  
ერთი თევზი მოგჭონდა,  
ისიც დააჭიანე.

პ ვ ი რ ი ა

ბიჭო, ბიჭო, კვირია,  
რად დაგიღია პირია?  
თბილი მჭადი ვერ გიშოვე,  
ცივმა მოგტეხა კბილია,  
სამმა ქოთანმა მაწონმა  
ვერ გაგისველა პირია.

ბ ე ს ი

ესია, ბესიო,  
მგელი გამოგესიო.

\* \* \*

კეკელო და მართა,  
ჩხუბი გაიმართა;  
ძიძგი, ძიძგი, მამალა,  
შენ იცი და მაგანა.





მამამ ვირი მომიყვანა

ვაიმე, დედავ, ფეხები,  
ტყეში დავეხეტები,  
ნეტავ, მყავდეს ვირი,  
შევჯდები და ვივლი.  
მამამ ვირი მომიყვანა,

პატარა და ჩვილი,  
ჭალა, ჭალა ავიარე,  
მგელს დაელო პირი,  
ვირი მგელმა შემიჭამა,  
დავჯექი და ვტირი.

ჰეერო, ჰეერო

ჰეერო, ჰეერო,  
ჩიკრიკო და შწყერო!  
ჩიკრიკისა მთაზედა,  
გველი იწვა ქვაზედა:  
შიველ ტყავი ავხადე,  
შიგ აბაზი ვიპოვე;  
წაველ, დედას ვახარე,  
დედამ კვერი დამიკრა,  
მამამ ტყეში წაიღო;  
იმან გვრიტი მომგვარა,  
გვრიტმა კვერცხი დამიღო,

ამიგორდა, ჩამიგორდა,  
პატარძალთან მიმიგორდა.  
პატარძალი შინ არ იყო,  
კარს უკან ფურსა  
სწველაგდა.  
ფურმა წიხლი გაიქნია,  
ჯამ-ჭურჭელი დაუმტვრია.  
პატარძალი გაგულისდა,  
ცხრა ყმაწვილი აატირა;  
თითო ვაშლი დაურთვა,  
ისევ თვითონ დააჩუმა.



მელიას ბელი

ესო, მესო  
 მელა ჩიოდესო:  
 — გაშიგდეს და გამომიგდეს,  
 სოროს შემეგდესო,  
 შამამიბოლესო,  
 შიგ გამომახრჩვესო,  
 კავი შემოყვესო,  
 გამომათრიესო,  
 შინ ამიტანესო,




მალლა დამკიდესო,  
 ჩამომატყავესო,  
 ურემს დამიდესო,  
 ქალაქს წამიდესო,  
 ამატარეს, ჩამატარეს,  
 ფასი ძლივს დამდესო,  
 წერილად დამკუწესო,  
 ქათიბს დამიდესო.



მოღი ვნახო ვენახი

მოღი ვნახო ვენახი,  
 რამ შეჭამა ვენახი,  
 მიველ ვნახე ვენახი,  
 თხამ შეჭამა ვენახი.  
 მოღი ვნახო თხაო,  
 რამ შეჭამა თხაო  
 მიველ ვნახე თხაო,  
 მგელმა ჭამა თხაო.  
 მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა.  
 მოღი ვნახო მგელი,  
 რამ შეჭამა მგელი,  
 მიველ, ვნახე მგელი,  
 თოფმა ჭამა მგელი.  
 თოფმა — მგელი, მგელმა — თხა,  
 თხამ ვენახი შეჭამა.  
 მოღი ვნახო თოფი,  
 რამ შეჭამა თოფი,  
 მიველ ვნახე თოფი,  
 ჟანგმა ჭამა თოფი.  
 ჟანგმა — თოფი, თოფმა — მგელი,  
 მგელმა — თხა, თხამ ვენახი შეჭამა.  
 მოღი ვნახო ჟანგი,  
 რამ შეჭამა ჟანგი,  
 მიველ ვნახე ჟანგი,  
 მიწამ ჭამა ჟანგი,





მიწამ — ჟანგი,  
 ჟანგმა — თოფი,  
 თოფმა — მგელი,  
 მგელმა — თხა,  
 თხამ ვენახი შეჭამა.  
 მლდი ვნახო მიწა,  
 რამ შეჭამა მიწა,  
 მიველ ვნახე მიწა,  
 თავემა ჭამა მიწა.  
 თავემა — მიწა,  
 მიწამ — ჟანგი.  
 ჟანგმა — თოფი,  
 თოფმა — მგელი,  
 მგელმა — თხა,  
 თხამ ვენახი შეჭამა.  
 მლდი ვნახო თავვი,  
 რამ შეჭამა თავვი,  
 მიველ, ვნახე თავვი,  
 კატამ ჭამა თავვი.  
 კატამ — თავვი,  
 თავვმა — მიწა,  
 მიწამ — ჟანგი,  
 ჟანგმა — თოფი  
 თოფმა — მგელი  
 მგელმა — თხა,  
 თხამ ვენახი შეჭამა.





თებერვალი დადგაო

თებერვალი დადგაო,  
ხეში წყალი ჩადგაო,  
ჩიტმა ჩიორამაო  
საძირკველი ჩადგაო,  
სამი კვერცხი დადვაო:  
ორი ყინვამ გაუხეთქა,  
ერთი თვითონ დარჩაო.

ი ა ვ ნ ა ნ ა

იავ ნანა, ვარდო ნანა,  
იავნანინაო,  
დაიძინე, გენაცვალე,  
იავნანინაო,  
ჯერ არ გათენებულაო,  
იავნანინაო,  
ვარსკვლავები ამოსულა,  
იავნანინაო,  
მთვარე შეშინებულაო,  
იავნანინაო,  
მანანოები მოდიან,  
იავნანინაო,  
ძილი მოაქვთ გუდითაო,  
იავნანინაო,  
ამას ჩემს ყმაწვილს მიეუტან  
იავნანინაო.  
თვალეებს გაუვუსებ ძილითა,  
იავნანინაო.



ნანი-ნანი

ნანი-ნანი, ყმაწვილო,  
თეთრი პურის ნაწილო,  
მამის ოქროს გუთანო,  
დედის ჩიქილ-მანდილო,



პიდის ქამარ-ხანჯალო,  
ძალოს წითელი ვაშლო,  
სუფრას საგორებელო,  
ქვეყნის გამგონებელო.

კ ა მ მ ს ა ნ ე ზ ი



\* \* \*

ქელს იქით-აქეთ ჩიტები  
ერთურთის გვერდით სხდებიან,  
ახლოს ცხოვრობენ, მდგმურადა,  
თუმც ერთურთს ვერა ხედებიან,  
ამ წამში რომ აქ არიან,  
იმ წამში გაფრინდებიან.

(თელეები)

\* \* \*

ერთი პატარა მანანა,  
ხან გაიცინებს, ხან არა.

(ციცინათლა)

\* \* \*

ერთ მინდორზედა დახტოდა  
ერთი უკულო კატაო,  
რაც საკუდეზე დააკლდა,  
ყურებზე მოემატაო.

(კურღლეო)

\* \* \*

ერთი რამე ასე იქმნა;  
ხილნარშია ისი მინდა,  
მრავალ ფერად შეხუთული,  
ტყაოსანად ისი მინდა,  
მარგალიტად ჩაწყობილი,  
ჯილოსანად ისი შინდა.  
ვინც რომ ამას გამოიცნობს,  
მეცნიერად ისი მინდა.

(სიმბლა)

ბ ა მ მ ს ა ნ ე ზ ი

\* \* \*

ჩურჩხელა ვნახე კახური  
თეთრი უჩანდა სახეო,  
ავიღე, ხელში დამიდნა,  
ნამცეციც ველარ ვნახეო.

(ვინულის ლოლუ-)

\* \* \*

ღობეში ხელი შევეყავი  
ბომბორა ძაღლმა მიკბინა.

(ვინჯარი)

\* \* \*

უხელოდ წნული საცერი  
მალლა კუთხეში ჰკიდიო,  
სხვისთვის მახეა, პატრონის  
დერეფანი და ხიდიო.

(ობობას ქსელი)

\* \* \*

თავვი მირბის შარა-შარა,  
კული მიაქვს ჩქარა-ჩქარა.


(ნემსი)

\* \* \*

არცა ვარ პური, არც ღვინო,  
არც თმის საღებო ანაო,  
ვინც შემიძინა მე ბევრი,  
წინ ვერვინ წაურბინაო,  
ჩემს თავს ვერავინ წაართმევს,  
რომ სცემონ ქვა და რკინაო,  
მასთან ვარ მისთვის საქები,  
ჩემით სხვას უძღვის წინაო.

(სწავლა)






თ ვ ე ე ბ ი

იანვარი მოწუწუნებს,  
როგორც რომ მშიერი მგელი,  
თებერვალმა დაუბერა,  
როგორც კარგი საბერველი;  
მარტმა სთქვა: „ქორწილს ვაპირებ,  
ყველამ მომიმართეთ ხელი!  
ცხვარი და ძროხა გავწვევით,  
არ გავუშვი ლურჯა ცხენი,  
ლრანტე ხეები ავახსე,  
აღარა სჭამს ტურა, მგელი.  
აბრილმა შემოუთვალა:  
„მარტო, რათ ხარ ჭკუა თხელი?  
სახნის-საკვეთი დაეპიროთ,  
გუთანს მოვუშართოთ ხელი,  
ურემში შევდვით უღელი,  
შიგ შევაბათ ყოყინები,  
ჯერ ქერები დავათავოთ,  
მერე ყანებს მივყოთ ხელი“.





პოტპუ, შე შო კამეჩო,  
შავი ზაქების დედაო,  
შენი დაზდილი ზაქები  
მიდიან მარილზედაო.

### თხას უთხრას

თხას უთხრეს: — მგელი მამკვდარა!  
თხამ ნაეარდი ჰქნა, გაიქცა.  
— თხაო, ნუ გაგზარებია,  
განა სამგლეთი დაიქცა.  
იმას რო დარჩა ლეკვები,  
ისინიც მგლებად მაიქცა.



### ვარდის ჩივილი

ვარდისა ბუჩქი ჩიოდა,  
ზამთარმა მომცა ზიანი,  
უცებ დამაჭკნო, დამადნო,  
დღეც კი არ მომცა მზიანი.

\* \* \*

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,  
 იქით გორასა ძვრას ვუზამ,  
 აღიდებულსა დიდს მტკვარსა  
 დავაყენებ და ყლაპს ვუზამ;  
 ას ლიტრა რკინას დავლეჭავ  
 აკვივითა და ყლაპს ვუზამ.




### სანთლის გუთანო

სანთლის გუთანს ავაშენებ,  
 შიგ შევაბამ უღელს დევსა;  
 ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,  
 ხმელზე ვინადირებ თევზსა.  
 ყინულზედ კალოს გავლეწავ  
 და მშრალზედ გადავყრი ბზესა;  
 კინჭველას გოდორს ავკიდებ  
 და დევებს დავუყრი ბზესა.



იმისთანა შენსა მტერსა

იმისთანა შენსა მტერსა,  
ჩვენში რომ დედაბურია:  
ორი ტურა შეეკაზმა,  
შესამე — დათვის ბელია.  
გააქან-გამოაქანა,  
სოფელი შეარბენია,  
ოსეთს შეიქნა სრიალი,  
კატა გადმოხტა რქიანი,  
დათვი ხელთოფებიანი,  
ირემი მშვილდ-ისრიანი,  
კურდღელი ყურცქვიტიანი.






### მზე და მთვარე

ნათელმა მთვარემა ბრძანა:  
 ბევრით მე ვჯობივარ მზესა;  
 დაჯდა, დასწერა წიგნები,  
 ზენა ქარი მიათრევსა.  
 მზეს რო კაცი მიუვიდა,  
 მზე ძალიან გაჯავრდესა:  
 მე და ვარ და ის ძმა არის,  
 რად ვძულდებით ერთმანეთსა.  
 ავი ამინდი რომ დადგეს,  
 ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა;  
 მცივანა კაცს ვერ გაათბობს  
 თუ არ დაანთებლა ცეცხლსა.  
 თუ ეს სიტყვა ტყუილია,  
 ჰკითხევით ღამის-მეხრესა.  
 ღამის მეხრე დაიბარეს,  
 უღვაშებზედ ისვამს ხელსა;

„დაჯექ, ბიჭო, სწორეთა თქვი,  
 თორემ მოგცემთ სატანჯველსა.  
 დახვეს და ალაპარაკეს,  
 შეუფე ყურს დაუგდებსა:  
 — შე უმზეოლა ვერ გავძლებ,  
 ღამით კი გავტეხავ ბნელსა;  
 დღისით შეეზვერავ ბალახებს,  
 ღამით მივრეკ საქონელსა“.  
 ერთი მაზარა უბოძეს,  
 ღამით მავალია ესა.  
 ღვინოზედ კაცი გაგზავნეს,  
 ორივე შეარიგესა.  
 ცისკარი მოჩანჩალეზდა,  
 თავის ტყავსა მოათრევსა;  
 გათენებისას ამოდის,  
 პანდური ჰკრეს, გააგდესა.  
 შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა,  
 ის ძალიან დაათვრესა;  
 ხალათი გამოუცვალეს,  
 კაი ჩოხა ჩააცვესა.





საბრალო დედაბრისას




საბრალო დედაბრისასა  
 თაგენი ყანასა მკიანო,  
 ლომნი უგრეხენ ულოსა  
 და ვეფხვნი შეუკვირიანო;  
 დეენი ურემსა აბიან,  
 ირემნი ძნასა ჰყრიანო,  
 შველნი კეერებში შებმულან,  
 კალოს გარს დარბენიანო.  
 ზედ ანგელოზნი უსხედან,  
 წვრილ ხმაზე დასძახიანო,  
 ჭინკები მარდად უქცევენ,  
 ყანასა გაჰფოცხიანო;  
 ტახნი მისწევენ კალოსა,  
 ჰელეები კუდით ჰგვიანო;  
 წერონი ანიავებენ  
 და ბატნი დაჰკმაზიანო;  
 დათეებს ჰკიდიათ ტომრები,  
 ორნოში პურსა ჰყრიანო,  
 მგლები წისქვილში გაგზავნეს,  
 პურს მალე დაუფქვიანო;





შაში ფქვილს მტკვრცავს,  
 გნოლი ზელს,  
 კაჭკაჭნი ამოქქნიანო,  
 მტრედნი ჩააკერენ ლავაშსა  
 და გვრიტნი ამოჰყრიანო;  
 ვარიები ამზადებენ,  
 იხენი სუფრასა შლიანო;  
 ზეცას ტოროლა გაგზავნეს,  
 ფრინველნი მოჰკრიბიანო,  
 შენს მადლსა ჩხიკვნი ნუ გინდან,  
 სუფრასა აგვიშლიანო;  
 სილამაზითა ხოხობი  
 შუაში ჩაისვინანო;  
 ბულბული გალობისათვის  
 სულ თავსა დაისვინანო;  
 საწყალი ბერი ქედანი  
 ბოლოში მოიგდიანო;  
 ერთად სმენ, სჭამენ, ლხინობენ,  
 კარალეს დასძახიანო.





\*

ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა — თვალებს იფშენვტსო.

\*

ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა მწვევარიო.

\*

ავი შვილი დედ-მამის .მაგინებელიაო.

\*

ავი ძალი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.

\*

ალვის ხე ცამდის ასული, ჭინჭველას წაუქცევიაო.

\*

აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო.

\*

არა მკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო.

\*

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო.

\*

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.

\*

ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო.

\*

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ერთიაო.

\*

ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასაო.

\*

ბუზი ბევრი ბზუისო, ფუტკართან ყველა ტყუისო.

ა : ნ : ლ : ა : ზ : ე : ს : ო

\*

ბუმბულს ქარის დაქროლებამდე თავი მძიმე ეგონაო.

\*

გოშიამა თქვა: ჩხუბს ავტეხ და ძირსა მნახეთო.

\*

დათვი საძაღლე გახდაო, იმისი საქმე წახდაო.

\*

დათვსა ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო.

\*

დათვს ვენახი მიაბარეს: არც ვინ შაუშუა, არც ვინ გამოუშუაო.

\*

დათვს თავში სცემდნენ და რისი ბრავაბრუგი ისმისო.

\*

დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შესჭამსო.

\*

დროზე მთესველი, დროზე მოიმკისო.

\*

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.

\*

ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

\*


ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.

\*

ერთხელაც იქნება მელას საქათმის კარზე დაათენდებო.

\*

ეს ქათამი ჩვენთან კაკანებს, კვერცხს სხვაგანა სდებსო.



\*

ვირის წიხლი მეტკინა, კი არ მეწყინაო.

\*

ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში სტენიდნენო.

\*

ვისაც თევზი უნდა, ფეხიც უნდა დაისველოსო.

\*

ვერიდებოდი ღოღოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო.

\*

ზეკას წერო მიფრინავდა, ძირსა თლიდნენ შამფურებსო.

\*

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.

\*

ზღვა ისე არ დაშრება, გუბის ტოლი არ დარჩესო.

\*

ზღვას თუ წყალი არ შესდის, ისიც დაშრებაო.

\*

თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.

\*

თაგვს კატის მომრევი არავინ ეგონაო.

\*

თაფლი იყოს თორემ, ბუზი ბალდადიდან მოვაო.

\*

თევზმა თქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო.

\*

თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო.

\*

თუ წიწკა არ გიჭამია, პირი რად გეწვისო.

ა ო ნ ო ა ო ე ო ო

\*

თხა ვასუქდა და ინატრა: ვაი, ერთი მგელს დამაჭიდაო.

\*

თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო.

\*

თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაოდა წვერი მაქვსო.

\*

თხის პატრონს აღარც თხის კუდიო.

\*

ისეთი ხიდი გადაევი, შენმა შვილმაც ზედ გაიაროსო.

\*

ისეთმა ფურმა დამწინლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო.

\*

კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებო.

\*

კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.

\*

კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.

\*

კვიცი გვარზე ხტისო.

\*

კიდევ მივა ქაჩალი მექუდის კარსაო.

\*


კიტრის ქურდმა იანვარში დაიკვეხაო.

\*

კულა ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო.

\*

კუმ ფეხი გამოყო — მეც ნახირ-ნახირაო.



\*  
კურდღელს უთქვამს: სანამ გამოძინტუნებდნენ, მანამ უფრო მეშინოდაო.

\*  
მამალს მელიასთან მეგობრობა არ გამოადგებოდაო.

\*  
მამალს უთქვამს: მე ვიყიველებ და გინდა გათენდეს, გინდა არაო.

\*  
მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონაო.

\*  
მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

\*  
მგელს მგლობა დაეთქვა, ტურამ ქვეყანა ამოადგოო.

\*  
მედღეხვალზე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო.

\*  
მელე: მახეში გაება და თავი მოიმძინარა: იქნება სიზმარი იყოსო.

\*  
მელამ თავისი კული მოწმედ მოიყვანაო.

\*  
ბელამ თქვა: ზღვას მუგუზალს შეეუჩინხინებ, თუ ვერ დავაშრობ, ხომ ავაშიშ-  
ხინებო.

\*  
მელამ კული გაიქნია და ქათამს თვალი გამოსთხარაო.

\*  
მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.

\*  
მიზეზ-მიზეზ — დოს მარილი აკლიაო.

\*  
მჩხავანა კატა თავს ვერ დაიჭერსო.

ა მუნჯის ენა მუნჯის დედამ იცისო.  
 \*  
 მწყერს ერთი დღე ერგო, ისიც ქარიანო.  
 \*  
 ნაჩუქარ ცხენს კბილი არ ესინჯებო.  
 \*  
 ორი კურდღლის მდევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.  
 \*  
 ბატარძალმა ძროხა ვერ მოწველა — ეზო მრუდეო.  
 \*  
 რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.  
 \*  
 როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო.  
 \*  
 რომ მცოდნოდა სად წავიქცეოდი, თივას დავერდიო.  
 \*  
 როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარიო.  
 \*  
 სადაც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო.  
 \*  
 სადაც სოფლის ნახირი, ზებრის ხზოც იქაო.  
 \*  
 სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიო.  
 \*  
 სევაი ძვალს კისერს დააზმანებს და ისე გადაჰყლაპავსო.  
 \*  
 სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.



\*

სხვისი ხელით ნარის გლეჯა ადვილიაო.

\*

ტიკს მაშინ ბერავენ, როცა ცარიელიაო.

\*

ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.

\*

ურემი რო გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო.

\*

უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო.

\*

ფარა მობრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო.

\*

ფინია აქეს, აქეზეს და მგლებს შეაჭამესო.

\*

ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს წინხლი ჰკრა და დაღვარაო.

\*

ფუყე თავთავი თავს მაღლა იწევსო.

\*

ქათამი რო დაგვიღს ნახავს, გულზე შემოეყრებო.

\*

ქათამი ერთ კვერცხს დაღებს და ას მეზობელს გააგებინებსო.

\*

ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.

\*


ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.

\*

ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს უყვებოდაო.

\*

ლორის ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცლებო.



\*  
ყვავი თითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო.

\*  
ყვაემა ყვაეს წასძახა: ჰაი, შე ყრანტალო!

\*  
ყვაეს შევარდნადა ზრდიდნენ, ის მაინც „ყვა-ყვას“ იძახდაო.

\*  
შენი ჯაგლაგი გერჩივნოს სხვისა იორღასაო.

\*  
შუბი ხალთაში არ დაიმალებაო.

\*  
ჩიტს უთქვამს: ცხრა ენა ვიცოდი, მიმინომ დამიქროლა და ცხრავე დამავიწყაო.

\*  
ცა და მიწა იქცეოდა, ტურა ქორწილს ექცეოდაო.

\*  
ცერცვი კედელსაო, სწავლა რეგვენსაო.

\*  
ციხე შიგნიდან გატყდებაო.

\*  
ცუღად ჯდომას, ცუღად შრომა ჯობიაო.

\*  
ცხელის შეშინებული, ცივსაც უბერავდაო.

\*  
ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა ცხარეაო.

\*  
ძალა აღმართს ხნავსო.

\*  
ძალლი ძაღლის ტყავს არ დახვესო.

\*  
წვეთ-წვეთი წყალი ქვას გახვრეტსო.

ა წაწმინდა სული და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

\*

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

\*

ჭინჭრაქა გულაღმა დაწვა: ცა რომ ჩამოინგრეს, ფეხებით დავიმაგრებო.

\*

ჯერ მინახე ჭინჭველო, მერე იმის თირკმელო.

\*

ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.

\*

ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი პირიო.

\*

ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შეადგებაო.

\*

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო.

\*

ხეს უთქვამს: ცული ვერაფერს დამაკლებდა, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო.

მე



ს ა რ ჩ ე ვ ი



ლექსები	3, 4, 5, 6, 7, 8.
გამოცანები	10, 11, 12, 13.
ლექსები	14, 16, 17.
თანაშობიანი	18, 19.
ლექსები	20, 21, 22, 24, 25.
ენის გასაღებები	26, 27, 28, 29.
ლექსები	30, 31, 32.
გამოცანები	34, 35, 36, 37.
ლექსები	38, 39, 40, 41, 42, 43.
გამონათქვამები	44, 45.
ლექსები	46, 47, 48, 50, 51.
გამოცანები	52, 53.
ლექსები	54, 55, 56, 57, 58, 60.
ანდაზები	62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70.



**КРАСНЫЙ МАК**

(Грузинская народная детская поэзия)  
Художник Т. Мирзашвили  
(На грузинском языке)  
Детгиздат Грузинской ССР  
«Накадули», Тбилиси, 1972

საშენიანო და უმცროსი  
სასკოლო ასაკის ბავშვთათვის

რედაქტორი ე. კუბლაშვილი, მხატვრული რედაქტორი ჯ. ვაჟაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი, კონტროლდირექტორი ლ. ხულოთანიშვილი, კორექტორი ბ. შალვაშვილი. გამომშვები ბ. კლანდაძე. ხელმოწერილია დახამკვლად 25 1-72 წ. ქალაქის ზიმა 84x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნამუშაო თიხაში 7,56, სააღრიცხვო-საგამომცემლო თიხაში 4,84. ტირაჟი 50000. შუკვ. № 622. ფასი 65 კაპ. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Издательство «Накадули» Тбилиси, ул. Марджанишвили № 5. საქართველოს სსრ მხისტრთა საბჭოს მეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის შთავაზოლოგრაფმრეველობის მეჭდვითი სიტყვის კომშინატი, თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5



W  
U  
3  
U  
T  
T  
U  
3  
v  
h  
r  
h